№ 230. 3 ნოემბერი, სამშაბათი. 1866—1881 3 ნოემბერი, სამშაბათი. № 230

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-თან ხოლმე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივი ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

მმართველობა ცეცხლისაგან ზიანის მზღვეველის რუსეთის საზოგადოებისა, რომელიც 1827 წ. დაარსდა, აცხადებს, რომ მან დანიშნა ფერდინანდ დანიელის-ძე ფონ-გეიდერ-გოროვსკი თავის აგენტად ქ.ქ. გორში, დუშეთში და თიანეთში და ამავე ქალაქების მაზრებში. ამის გამო გორის სააგენტოის მოხსენებულს წრეში ვისაც სურს საზღვევად მისცეს საკუთარი ქონება, უძრავი ანუ მოძრავი, ცეცხლისაგან ზიანის მზღვეველს საზოგადოებას—უნდა ინებოს ბატ. ფონ-გეიდერ-გოროვსკისადმი მიმართვა, რომელიც სცხოვრებს ქ. გორში. (4—4)

თბილისის თეატრი

ოთხშაბათს, 4 ნოემბერს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველი აბონემენტის რიცხვში

I

შეშლილია!

დრამა 2 მოქმედ., ფრანცუზულიდამ.

II

ცოცხალი სურათები

1) წყაროსთან (მეოროჟელ)
2) ცელქი ყმაწვილი.
3) ფული თუ სიყვარული?

III

პარიჟელი ბიჭი

კომედია 2 მოქმ., ნათ. დ. ერისთვისა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი 7 1/2 საათზე.

# ტელეგრამმები

(„ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 1 ნოემბერს. გაზ. „ახალ მოამბეში“ სწერია, რომ ხმები კავკასიაში მმართველობის შეცვლაზედ მართლდებაო, ჰფიქრობენ გაყონ ქქვს მაზრად (Область) და სამხედრო საგუბერნატოროდ.

მმართებლობითი ცნობა. გასაუმჯობესებლად შინაგან მაზრებთა და გუბერნიებთა მმართველობისა, დაარსდა კამისია, რომლის თავს-მჯდომარედ დანიშნა კახანოვი, წევრებად და წარმომადგენლებად არჩეული არიან ადგილობრივი მცოდნე პირნი. ეს კამისია განიხილავს: ნადვაწს 1859 წ. შემდგარ კამისიისა, რომელიც ეხლა უქმდება, ერობის განჩინებათა და საგლეხო წოდებათა რეფორმებს.

მმართებლობის სურვილია, მკვიდრი კავშირი დაადგინოს ადმინისტრაციასა და საზოგადო მმართველობას შორის და აგრეთვე განსაზღვროს მათი უფლება და მოვალეობა.

გაზ. „ახალი დროება“ და „ახალი ამბები“ იცნობებიან, რომ მმართებლობას სურსო, ვადა დაბალი ჩინების (სალდათების) სამსახურისა ამის შემდეგ გააგრძელოს ათი წელი და მეოთხე რაზრიადის ლგოტა მოსპოს.

პეტერბურღი, 31 ღვინ. 30 ღვინობისთვეს ექსპერტებმა გარდასწყვიტეს გარდახედონ ღლეხების გარდასახლების საქმეებს და პასპორტების მაგიერ შემოიღონ გარდასახლებითი მოწმობები, რომლებითაც თავისუფლად შეეძლოსთ, როგორც გარდასახლება სადმე, ისე უკანვე დაბრუნება—ადრინდელ საცხოვრებელში. გარდასწყდა სახალხოდ გამოცხადდეს ახალი წესი თამბაქოზედ 31 ღვინობისთვეს.

„მმართებლობის მოამბეში“ სწერია, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში 75 მილიონამდე რჩება მოგება სახელმწიფოს.

ტრიგონის საქმე დეკემბრამდის გადიდვა.

შარვაშიძის საქმეზედ საზოგადოებას ბილეთებით უშვებენ სასამართლოში.

## ახალი ამბები.

გაელილ პარასკევს თფილისის პუბლიკურ ბიბლიოთეკაში იყო სხდომა კავკასიის არხეოლოგიურ საზოგადოებისა, რომელზედაც ამ საზოგადოების წესდების შეცვლაზედ ჰქონდათ სჯა. კრებამ ხმის უმეტესობით გარდაწყვიტა, რომ საზოგადოება გადაკეთდეს „კავკასიის ისტორიისა და არხეოლოგიის საზოგადოებად“, რომელშიაც ნამდვილ წევრებს გარდა, იქნებიან საპატიო წევრები და კორრესპონდენტები, კენჭის-ყრით ამორჩეულნი. ყოველი ნამდვილი წევრი და კორრესპონდენტი ვალდებული იქნება თითო რამ თავის ნაწერი წარმოუდგინოს საზოგადოებას წელიწადში.

* * *

ბაქოს რკინის გზა, როგორც გაზ. „კავკაზში“ იწერებიან, მომავალ 1882 წლის შემოდგომისათვის იქნება სრულიად დამზადებული; მუშავაგონები ახლავე დაიარებიან ბაქოსა და ელისავეტპოლს შუა. ბაქოდამ მარჯვედ მიდის მუშაობა, მაგრამ თფილისიდამ კი უფრო აგვიანებენ.

ამ გზის გათავების შემდეგ, ყარსისაკენ აპირებენ რკინის გზის გაყვანას, რომელსაც უფრო სამხედრო მნიშვნელობა ექნებაო.

ამის შემდეგ მალე შეუდგებიან პეტროვსკისა, და სპარსეთისაკენ რკინის გზის გაკეთებას. ამ გზას უფრო მომეტებული მნიშვნელობა

---

«დროების» ფელეტონი, 3 ნოემბერი

## ელგუჯა *)

(მოთხრობა)

იქნებოდა ღამის 8 საათის, როდესაც ქვეშეთში, სვიმონის სახლის კარებზედ, რაღაცა მოძრაობა იყო. შეკაზმული ცხენები და შებმული ურმები ამტკიცებდნენ, რომ აქ ან ვიღაცანი მოსულიყვნენ და ან მიდიოდნენ.

თითონ სვიმონიც, ჩაშალვარებული, მთლად შეიარაღებული, რაღაცა მღელვარებაში იყო და ეტყობოდა, რომ სადღაც მიემზადებოდა და მოუთმენლად რაღაცას თუ ვიღასაც ელოდა.

წამ-და-უწუმ შედიოდნენ და გამოდიოდნენ იმასთან სხვა-და-სხვა პირები, რომელსთაც ჩუმად, იდუმალად მოელაპარაკებოდა და გამოისტუმრებდა.

ათჯერ მომეტებულად ეკითხა, ბიჭისთვის: „ხომ არ მოსულან?“ თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ თუ მოსულიყო ვინმე მაშინვე შეატყობინებდნენ. ბოლოს ბიჭი საჩქაროდ შემოვარდა და შეატყობინა იმის მოსვლა, ვისაც ისე სულ სწრაფობით მოელოდა სახლის პატრონი.

— შემოიყვანე, ჩქარა, რაღას ელი? უთხრა იმან და ბოლოს დაუმატა;— სანამ ის აქ იქნება, არავინ შემოუშვა

ბიჭი გავიდა, გაიღო ხელ ახლად კარები და შემოვიდა მათია, მთლად შეიარაღებული. იმისი ჩაცმულობა, უკან გადაკეცილი ჩოხის კალთები და ყველა საჭირო საომარი იარაღი, ამტკიცებდა, რომ ის სადმე ლაშქრად უნდა ყოფილიყო.

— მადლობა ღმერთსა! მოუთმენლად წარმოსთქვა სვიმონმა.— რა ჰქენ? მიამბე ჩქარა!

— ვნახე ყველანი, შენი კვნესამე, უპასუხა იმან.

— უთხარი?

— ჰაი, ჰაი, რომ ვუთხარ.

— მერე რა გითხრეს?... არ წამოვიდნენ?

— არა შენი კვნესამე!... ისინი ამბობენ, რომ თუ ხალხისათვის კეთილი გინდა, შენ თითონ ჩამოხვალ აქაო.

— მე?! უნდა ვიახლო იმათ?! გაკვირვებით და ამაყად წარმოსთქვა იმან.

— ჰაი, ჰაი, რომ უნდა წახვიდე.

— როგორ?... შენც მაგას ამბობ?... მე, დღეს მთაში პირველ კაცად ვითვლებოდე და მე უნდა წავიდე იმათთან?

— აბდიამ შემოგითვალა, შენი კვნესამე; დღეს ისეთი ძნელი საქმე აწევსთ კისერზედ მთიულთ უფროსებს, რომ ერთს დამთქნარებასაც, ვერ მოსცილდებიან თავიანთ ადგილებს! „თუ შენ მართლა კეთილი გინდაო, ან ხალხისათვის, ან მამულისათვის, მაშინ ჩვენთან ჩამოსვლას არ დაიზარებო“. ამ სიტყვებმა არა მცირედი დააფიქრეს სვიმონ, რომელმაც რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში და შესდგა მათიას წინ. სვიმონს პასუხი ვერ გადაეწყვიტა, რადგანაც მართლა მოსაფიქრებელი იყო მისვლა აჯანყებულს მთიულებთან, რომლებიც სვიმონს არ ენდობოდნენ, როგორც ერთს მმართებლობის წარმომადგენელს და მაშასადამე იმის მომხრეს.

ამ აღელვებაში, ამ საერთო არეულობაში, მცირედი ეჭვის შეტანაც კმაროდა, რომ კაცის სიცოცხლე ჩალად აღარ დაფასებულიყო. გამწარებულებს სამართლიანად თუ უსამართლოდ შეეძლოთ თავი ისე წაეჭრათ, როგორც ქათამისთვის. სვიმონ არ იყო ლაჩარი და სიკვდილს ბევრჯელ შეჰყროდა პირ-და-პირ, მაგრამ უბრალოდ სიკვდილი, თავ-გაუმართლებელად მთამომავლობის წინაშე, მხოლოდ უბრალო ეჭვის გამო, არ უნდოდა. ამასთან ერთად, ის კაცი იყო და აგონდებოდა თავის ცოლშვილი, რომლებიც ხალხის სიბრაზის უეჭველს მსხვერპლად შეიქნებოდნენ, თუ იმას აუტყდებოდა რამე. ის მამულის შვილი იყო, ქართველი და ქართველურის გრძნობით, თავის მოვალეობათა ხედამდა მისულიყო ხალხში და გაჭირვებაში გვერდს მოსდგომოდა თავის მოძმეებს, თუნდა ეს სიცოცხლეთაც დასჯდომოდა. მაგრამ იმან ერთხელ სამუდამოდ გადაწყვიტა, იმ აზრების აღსრულებას შესდგომიყო, რომლებიც ხალხისთვის, იმის აზრით და შეხედულობით სასარგებლო იქნებოდა.

იმან ამოიოხრა, მივიდა ახლოს მათიასთან და გადაწყვეტით უთხრა:

— კარგი, წამოველ.

ამ სიტყვების შემდეგ გავიდა იმ

*) ის. „დროება“ № 228.

ექმნება რუსეთისათვის, რადგან ის სპარსეთსა და კავკასიას შეაერთებს რუსეთთან.

* * *

ჩვენ მოგვივიდა ბ. NN-ისაგან პასუხი მ. იოანნე ზამრეკელოვის სტატიის შესახებ; მაგრამ, რადგან, ერთის მხრით, ეს პასუხი ერთობ გრძელია და, მეორეს მხრით, ეს საბაასო საგანი მკითხველისათვის საკმაოდ გამოკვლეული და ცხადი მიგვაჩნია, ამის გამო ვსპობთ ამაზე ყოველ პოლემიკას და ხსენებულ პასუხსაც ვერ ვბეჭდავთ.

* * *

ხვალ, ოთხშაბათს, პირველი აბონემენტის წარმოდგენა იქნება გამართული ჩვენი დრამატიული დასისაგან. ჩვენ გავიგეთ, რომ აბონემენტი უკვე ასს მანეთამდის გასაღებულია ყოველ წარმოდგენისათვისო.

წარმოდგენილი იქნება „შეშლილია!“ დრამა 2 მოქმედებად. ჩვენ საჭიროდაც არა ვთვლით რომ რამე ვსთქვათ მეორე პიესის „პარიჟელი ბიჭის“ შესახებ: ამპიესაში ჩვენს ნიჭიერს აქტრისას მ. საფაროვ-აბაშიძისას ისეთს ალტაცებაში მოჰყავს საზოგადოება, რომლის გამოთქმაც ძნელია.

ამ ორ პიესის შუა იქნება გამართული ცოცხალი სურათები ისევ თ. მ. პ. ბებუთოვისაგან, რომელმაც წინედ წარმოდგენებში ისეთი გემო და ხელოვნება გამოიჩინა ცოცხალი სურათების დადგმაში, რომ სრულიად დარწმუნებული ვართ, ხვალაც ჩინებული რამ იქნება.

* * *

დღეს, სამშაბათს, სალამოს შვიდ საათზე, თბილისის საადგილ-მამულო ბანკის ზალაში არის დანიშნული „ვეფხის-ტყაოსნის“ გარჩევა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ოზურგეთი, 27 ოქტომბერს.** გამიგონია—მოთმინება კარგი საქონელიაო, მეც მინდოდა ამესრულებინა ეს სიტყვები და დიდხანსაც ვითმინე, მაგრამ ბოლომდისინ მაინც ვერ გავატანე. ან-კი რას იზამ კაცი: ძნელი მოსათმენია, რაზედმე მუდამ გული გტკიოდეს და ამ მწარე სატკივარის მიზეზი კი შენსავე გულში გქონდეს დაფარული. ისევ ვამჯობინე ვსთქვა; ზოგჯერ ხომ „თქმა სჯობს არა თქმასა“ და ვინ იცის, იქნება ჩემს ნათქვამსაც ასე მოუვიდეს: თქმამ აჯობოს უთქმელობას.

აბა დავიწყებ და შეძლებისამებრ გიამბობთ ოზურგეთის ქალების სწავლა განათლების პედზე აქაურ საზოგადოების ზრუნვას, ანუ უკედა ვსთქვათ, სრული უზრუნველობას.

უნდა გითხრათ, რომ მე ყოველთვის გული მიკვდებოდა, როდესაც ვაჟების სწავლა-განათლებას მოიხსენიებდნენ და იქ ქალების ხსენება არ იქნებოდა. ქალებს კაცი არ კითხულობს, მათზე არავინ ზრუნავს და მერე კი მუდამ მათი ლანძღვა-გინება, მუდამ საყვედური!

საქალებო სკოლის დაარსება, სადაც უნდა იყოს, ყოველთვის სასიამოვნოა; მაგრამ როგორც გურული ქალის—ჩემი ცხარე ნატვრა იყო, რომ ოზურგეთში რაც შეიძლება ადრე მოვსწრებოდი ამ სანატრელ დღეს და აქაც მენახა სწავლის მწყურვალე პატარა მალხაზი ქალები სკოლაში ჰიმავალნი, მენახა იმათი ამ ბედნიერი დღით გახარებული სახეები.

მაგრამ რა ამბავია, ყოველგან ყურადღება მიაქციეს ქალების სწავლას, ყოველგან ზრუნავენ საქალებო სკოლის დაარსებაზე და ჩვენს ოზურგეთში კი კაცს ტყულა ფიქრშიაც კი არ მოსდისთ. აქ ჯერ კიდევ თითქოს გული არ დაერწმუნებიოსთ სწავლის საჭიროებაზე. მაშ რითი უნდა აიხსნას ოზურგეთის საზოგადოების ასეთი უზრუნველობა საქალებო სკოლის დაარსებაზე? აქამდისინ კიდევ ვიმედოვნებდით, რომ ესენიც არ ჩამორჩებიან ახვებს სწავლის გავრცელებაში და სკოლების დაარსებაში; მაგრამ ორმა ქვემოდ მოთხრობილმა ამბავმა სრულიად გადაგვიწყვიტა იმედი:

1878 წ. აქ დაიწყეს ლაპარაკი საქალებო სკოლის გახსნაზე; შესდგა კომიტეტი, დაიწყეს ფულის შეგროვება და მოაგროვეს კიდეც 900 თუ 1000 მანეთამდის. აქ ამ დროს მაზრის მმართველად იყო ბ. ზეიკინი, რომელიც ყველაზე მეტს მონაწილეობას იღებდა ამ კეთილ საქმეში და იმედიც იყო კიდევაც შეასრულებდა, თუ რომ ამდროს ბ. ზეიკინი არ გადაეყვანათ; ამის შემდეგ სკოლა კაცს აღარ მოჰგონებია. ეხლა იმ ფულებისაც აღარა ისმის-რა.

ხშირად მესმის საჩივარი აქაური ვაჭრებისაგან: სად არის ჩვენი ფულიო? იმისთანა საწყლებმა, რომელსაც მჭადი ვერ გეიშოვია გასაძღომად, 5 და 10 მ. გამოვიღეთ სკოლის სასარგებლოდო, უფრო შეძლებულებმა—25-30 მანეთიო: ამ გვარად შეაგროვეს ფულებიო და აღარც სკოლის და აღარც მაგ ჩვენი ფულების აღარაფერი არ გვესმისო. ჩვენი ფული, რატომ ჩვენვე არ ჩაგვაბარეს, ვასარგებლებდით ამ სამს წელიწადსაო.

ერთი ვაჭარი გუშინაც მეუბნებოდა: რა უყავით ჩვენს ფულსაო, გვაჩვენეთ, რა გააკეთებიეთ ამ სამს წელიწადში ამ საწყალი ხალხისაგან მოკრეფილ ფულსო! ეს „სა-დროებო“ საქმეაო და რამდენჯერ მოვინდომე დამეწერა ეს ამბავი, მომეწერა ჩემი სახელი და გვარი და გამეგზავნა „დროებაში“, მაგრამ ჯერ კიდევ მინდა ვუყუროო ცოტახანსო.

მეორე ამბავი კიდევ უფრო ცხადად გვიმტკიცებს აქაურების სრულს უზრუნველობას ქალების სწავლაზე.

1880 წ. ერთმა ქალმა გახსნა აქ კერძო საქალებო სკოლა. აქაურები მეტის სიხარულით მიეგებნენ სკოლის გახსნის დღეს. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენს ქალაქში ამ სკოლის ხსენებაც აღარსად იყო! საზოგადოების გულ-გრილობამ მოჰკლა ის სკოლა..

ვის არ გაუგრილებს გულს და მოუსპობს ყოველი კეთილი საქმისთვის შრომის სურვილს საზოგადოების ასეთი უთანაგრძნობლობა!

ოზურგეთელი ქალი.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! „დროების“ № 215-ში იყო დაბეჭდილი ჩემგან

---

ოთახიდგან, მოამზადა სახლობა, რომელიც გაისტუმრა ლარზის სიმაგრეში, ოსების მებატონებთან.

გამოსალმებაში გულმა ვერ მოუთმინა და უმოწმოდ, ცალკე ოთახში, მიიკრა გულში თავისი ცოლი, რომელსაც გაჩუმებულს და გაფითრებულს ისიც ვეღარ გაებედნა, რომ ეკითხა—თუ რა ხდება და რას უნდა მოელოდეს. აღელვებულმა სვიმონმა მხურვალედ დაჰკოცნა თავის შვილები და გუნებაში გაუარა აზრმა: „ვინ იცის კიდევ ეღირსება თქვენს მშობელს, თქვენი მკერდზედ მოკვრა?“ გაჰფიქრა ეს და გულში რაღაცა ადუღდა და მოედო მთელს აგებულებას.

ისა ხედავდა, რომ სუსტდებოდა, მაგრამ მოაგონდა მამული, მოძმენი, რომლებიც ისეთს გაჭირვებაში იყვნენ და ხელის გაქნევით წამოიძახა:

— წადით, წადით! ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! ამ სიტყვებს შემდეგ, ურმები გაჭრიალდა და გაჰყარა შვილები მამას, რომელიც საჩქაროდ გამობრუნდა და დამშვიდებულის ნაბიჯით შევიდა მათიასთან.

— მზათა ვარ, წავიდეთ, ავასრულოთ ჩვენი მოვალეობა!

ისინი შესხდნენ ცხენებზედ, გაიყოლეს კიდევ ერთი მთიული და გასწიეს აბდიასაკენ, სადაც უფროსი ხალხი და ლაშქრის მოთაურები შეყრილიყვნენ.

არავინ არ მოელოდა, რომ სვიმონ ბატონი, როგორც მაშინ მთის ხალხი ნაჩალნიკს ეძახდნენ და ამასთან დასაჩუქრებული და დაყვავებული რუსის მმართებლობისაგან, არ გაწყრებოდა და თითონ მოვიდოდა ხალხთან. წარმოიდგინეთ იმათი გაკვირვება, როდესაც იმათთან შევიდა ერთი დარაჯთაგანი და გამოუცხადა სვიმონის მოსვლა.

აბდია და რამდენიმე მოხუცი გამოეგებენ გარეთ, სადაც მიესალმნენ სვიმონს, დიდის მოკრძალებით და პატივით.

— ბატონო, სვიმონ! ძვირფასი სტუმარი ხარ. ჩვენთვი ღომისაა მოწამე... მე მიხარიან, რომ ჩემს ქოხში გხედამ, მდაბლა თავის დაკვრით უთხრა აბდიამ.

— მთიულნი ვაჟკაცნი არიან, სტუმართ მოყვარულნი! ჩემთვის სახელია შენისთანა მასპინძელი. ზრდილობიანად უპასუხა მოსულმა.

— აი, შენი კვნესამე, ჩემი სახლი მობძანდი, შენ ბატონი და ჩვენ შენი ყურ-მოჭრილი ყმები. ამ სიტყვებით აბდიამ შეიპატიჟა სახლში, სადაც ქვაბით საკლავი *) ჯერ კიდევ საკიდლიდგან არ გადმოეღოთ და წყნარად ჩუხჩუხობდა.

სტუმარ მასპინძელნი დახსდნენ და სიჩუმე ჩამოვარდა რაოდენიმე ხანს. ყველანი როგორღაც უხერხულადა ჰგრძნობდნენ თავს.

— აბდიაუ! მე დაგიბარეთ, მაგრამ თქვენ არ მოხვედით. არ მენდენით, თუ რა იყო? დაიწყო სვიმონმა.

— არა, შენი კვნესამე, შენ როგორ არ გენდობოდით? შენც ჩვენი სისხლი ხარ და ჩვენი ხორცი, განთქმული ვაჟკაცობით და გულადობით... შენ როგორ არ გენდობოდით?

— მაშ, რად არ მოხვედით?

— იმად, რომ უფროსები ვინც არიან, ჯარის მოთავედ არიან ამორჩეულები და თავ-თავის ალაგს თავს ვერ დაანებებდნენ.

— დღეს თქვენ უფროსად მე ვარ დაყენებული და რაკი მე გიბარებდი უნდა ამოსულიყავით.

— უფროსად? ამაყად წარმოსთქვა აბდიამ.—შენ ცხო ხალხისაგან ხარ დაყენებული უფროსად და ჩვენ-კი ჩვენის ხალხისაგან ვართ ამორჩეულნი... შენი ქომაგნი სტუმრად არიან მოსულნი, დღეს თუ ხვალ უნდა წავიდნენ და ჩვენ-კი მემკვიდრენი ვართ... უფროსები ჩვენგან არის ამორჩეულნი, რად უნდა მოსულიყვნენ შენთან.

— ვაჟკაცს, ვაჟკაცური სიტყვა ექნება! თემის გარდაწყვეტილებას მეც დავმორჩილდი და მოვედ.

— მაშ ჩვენი ხარ, შენი კვნესამე? სიხარულით წამოიძახა აბდიამ.

— ცოცხალიც და მკვდარიც! ღმერთია გულთა მხილავი.

— ღმერთი, მე და ჩემმა ღმერთმა!

— მაშ რასაც აპირებთ, რატომ მე-კი არ მატყობინებთ. გგონიათ მე-კი არ მეწვის გული მამულისთვის? გგონიათ მე-კი არ ვხედავ, რომ ვიღუპებით? მაგრამ აჩქარებითა სოფელი არვის მოუჭამია...

— მაშ რას გვირჩევ? რას გვეტყვი?

— ჯერ დაწვრილებით გამაგებინეთ რას შვრებით, რას აპირებთ და მაშინ ერთად ვარჩიოთ, ძმებსავით.

— ძმებსავით, შენი კვნესამე, ძმებსავით.

— აბა მაშ დაიწყეთ.

— ეგ მარტო მე არ შემიძლიან. აი უფროსები აქ არიან მაგათაც დავეკითხნეთ.

— მაშ, მაშ, მაგათაც უნდა დავეკითხნეთ.

*) საკლავს ცხვარს ეტყვიან.

გამოგზავნილი ამბავი შესახებ ვაგონების დროზე მიუღებლობისა ბექათუბნის სტანციაში.

რაც ვსთქვი ჩემს პირველ წერილში, იმას ვადგივარ დღესაც და ყოველს ადგილას დავამტკიცებ, სადაც უნდა მიჩივლოს ბატონმა ბექათუბნის სტანციის უფროსმა. მაგრამ პირველ ჩემს წერილში მე მას არ ვამტყუნებდი ქრთამის თხოვნაზე და არც უთხოვნია მას ჩემთვის ქრთამი. მე ვილაც-ვილაცაებმა მითხრეს, რომ ერთ ხუთ მანეთს რომ დახარჯავდე და ერთ თავ შაქარს, მალე მიიღებ ვაგონებსაო, თორემ მას თვითონ და არც მის მოსამსახურე პირს ჩემთვის არა უთხოვნია-რა ქრთამად.

ამას კი ვიტყვი, რომ იმის მომდურავი ბევრნი არიან. ბევრჯერ არ დაუკმაყოფილებია მას კანონიერი მოთხოვნილება მთხოვნელების ნივთების და საქონლის გაგზავნაზე. პრისტავმა ქანდელაკმა სთხოვა მას ფიცრების გადატანა წონით, მაგრამ უარი უთხრა, როდესაც სხვა სტანციებზე ყველგან იღებენ. ამ პრისტავმა ერთი ვაგონი ფიცრები გაგზავნა ყვირილაში და გარდაახდევინეს რვა მანეთი კაპეიკებით. ამისთანა ფიცრების და ვაგონის ფასი, გადასატანი მღვ. ღამბაშიძეს გარდაახდევინეს ამ სტანციაში თორმეტი მანეთი. რა არის ეს? ნუ თუ ასე სხვა-და-სხვა ტაქცია არის დადებული ამ სტანციაზე? ვინ გამოუდგება ყველა ამაების ჩივილს, და ან რა გამოვა ამ ჩივილისაგან? ნუ თუ ოც-და-ათი დღე უნდა იცადოს კაცმა ვაგონის შოვნისათვის.

მგნატე კახელი.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის პალატის სხდომები უკვე გაიხსნა და რამდენიმე სხდომა კიდეც იყო. დაიჭირა თუ არა ამ სხდომებზე გამბეტამ თავსმჯდომარის ალაგი, მისმა მოწინააღმდეგეებმა ყოველის მხრით განაცხადეს უკმაყოფილება. ისეთი პირნიც აღუდგენ წინ გამბეტას და ამის მომხრეთ უფროსობას, როგორც ლუი ბლანი.

ბევრ ძირეულ რესპუბლიკელთ აწუხებს ის გარემოება, რომ გამბეტა საჭიროდ არ ნახულობს ცხადად გაარკვიოს და დახატოს თავის მიმავალი პოლიტიკური მოქმედება.

— ჰავასის სააგენტოს ცნობიდამ სჩანს, რომ მომავალი კაბინეტი საფრანგეთისა შესდგება შემდეგის მინისტრებისაგან: ლეონ-სე იქნებაო ფინასთ მინისტრად, ფრეისინე—სამხედრო მინისტრად, ჟიულ-ფერრი სახალხო განათლების მინისტრად და ტისსო-უცხო ქვეყნების საქმეთა.

პალატის თავსმჯდომარეობიდამ ხელი აიღო გამბეტამ, რადგანაც სამინისტროდ ემზადება. გამბეტას მეგობრები, გაიძახიან რომ გამბეტა სრულიადაც არ ყოყმანობს მიიღოს მონაწილეობა სამინისტროში. გამბეტას მეტის-მეტად ჰსურსო, რომ რაც შეიძლება მკვიდრი კავშირი და კეთილი განწყობილება დაიკავოს ინგლისთან და იტალიასთან.

—

**იტალია.** ინგლისური გაზეთები და საზოგადოდ მთელი ევროპა, იტალიის მეფის ვენაში ჩასვლას დიდს პოლიტიკური მნიშვნელობას აძლევენ. გერმანია და ავსტრია ექომაგებიან იტალიას, რომ დაიცონ ამის ინტერესები სამხრეთ აფრიკაში, სადაც საფრანგეთს აქვს ამ ჟამად ატეხილი ომი.

ამას გარდა ერთი უმთავრესი მიზეზი იტალიის მეფის ჰუმბერტის ვენაში ჩასვლისა არის სურვილი და შუამდგომლობა ავსტრიის მმართელობასთან გრაფ ანდრაშის დანიშვნისა უცხო ქვეყნებთა საქმეების მანისტრად ახლად გარდაცვლილის მინისტრის ჰაიმერლეს მაგიერ.

—

**პრუსია.** თ. ბისმარკის გარდაწყვეტილება ამ უკანასკნელ ხანებში რეიხსტაგის ამორჩევებმა დიდად ვერ შეარყია, თუმცა ეს ამორჩევები სულ მის წინააღმდეგ წავიდა. ბერლინმა ამოირჩია ისეთი პირები, რომელთაც ბისმარკი სთვლის პირ-და-პირ თავის შეურიგებელ მტრებად. მაგრამ გერმანიის კანცლერი კიდევ არ ჰკარგავს იმედს, დაუმტკიცოს საზოგადოებას თავის ეკონომიური პლანების უპირატესობა.

ქ. ლეიპციჰის სტუდენტებს, რომელთაც კიდე განუმეორეს თ. ბისმარკს თავიანთი თანაგრძნობა, შემდეგის სიტყვებით მიუგო ბისმარკმა: „დიდად გმადლობთ თანაგრძნობისათვის. ბერლინის ამორჩევამ სრულიადაც ვერ შემაშინა და ვერ შემამუხთლეს მე. მჯერა, როდესაც [illegible]დავ, რომ ნემეცის სტუდენტები ჩემთან ერთად მოელიან კეთილ მომავალს.“

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მი-

---

— უფროსნო და მეთაურნო, რას იტყვით?

ამ კითხვის შემდეგ, რაოდენიმე ხანი სიჩუმე ჩამოვარდა, მერე წამოდგა ერთი და დაიწყო:

— ჩვენ დასამალი არა გვაქვს-რა. ჩვენ გარდავწყვიტეთ, რომ ან გავწყდეთ და ან ისევ ჩვენი მეფე გვეყოლოს... ვინც თავის თავს ქართველად უყურებს უნდა მოგვიდგეს, ვინც არ მოგვიდგება ის წყეული იქნება, მოღალატე, მოძმედ გამყიდი, იუდის კერძი.

— ქართლი თაობს და ჩვენ საქართველოს ნაწილი ვართ, უკან ვერ დავდგებით.

— მგ ყველა კარგი, მეც მაგ აზრისა ვარ, მაგრამ რას აპირებთ? დაიწყო ისევ სვიმონმა.

— ხალხო, უთხრათ ყველა? იკითხა კიდევ აბდიამ.

— უთხრათ, უთხრათ! დასამალი რაი გვაქვს? ერთ ხმად წამოიძახა ხალხმა.

ამის შემდეგ აბდიამ უამბო სვიმონს, როგორც ქალაქიდგან მოსული სტუმრის ნალაპარაკევი, აგრეთვე, თავიანთი გარდაწყვეტილება გზების შეკვრაზედ და ჯარის მომწყვდევაზედ.

სვიმონ ჩაფიქრდა ამ სიტყვებზედ და რაოდენიმე ხანი ისე დარჩა.

— ხალხო! დაიწყო იმან.—მე მგონია, რომ თქვენში ისეთი ვერვინ გამოვა, რომა თქვას: „სვიმონს სიკვდილისა ეშინიან, სვიმონს თავისი თავი, თავის ხალხზედ და ქვეყანაზედ მეტად უყვარს!“ ვფიცავ რაც კი სალოცავები მყავს, ვფიცავ რაც უფრო ძვირფასად მიმაჩნია ამ ქვეყნად, დღესვე რომ შეიძლებოდეს ჩემი ცოლ-შვილის მსხვერპლად მოტანით მამულის დახსნა, არ შევიბრალებდი იმათ. მე თითონ ჩემის ხელით ყელებს დავსჭრიდი, მაგრამ ეგ არას უშველის მამულს. ვერც არას მარტო ჩვენ ვუშველით, თუ ყველანი არ შევგროვდით, არ შევეერთდით. თქვენ შეტყობილი გაქვსთ, რომ ქართლი აჯანყებულა და მე-კი ზედ-მიწევნით ვიცი, რომ ქართლი თავბრუდახვეული, ჯერ ყიზილბაშებისაგან, ახლა ამ ახალი მოულოდნელობით, შინაურის განხეთქილებით და უკმაყოფილობით, დამთვრალსავით გარეტიანებული არის. იქ თითონაც არ იციან რა დაიწყონ ვის მიმართონ... თუ ქართლში ფხიზლად ვინმე დარჩენილა, ისინიც ცალკე არიან, ხედავენ საქმის დაწყობის შეუძლებლობას და ამისათვის დროს ელიან... . . . . . . . .

ხალხი სულ-გაკმენდილნი ყურს უგდებდნენ იმის ლაპარაკს, მაგრამ რამწამს ლაპარაკი გაათავა, ყველას უნდოდა პასუხის მიცემა.

— ქართლი აღდგა, ქართლი ეხლა ომობს, დაიწყო ერთმა, და ჩვენც მხარი უნდა მივცეთ!.. ნუ გაუშვებთ ვოქებო მომდინარს ჯარს, თორემ ეგენიც ჩავლენ და ისევ ჩვენ მოძმეთ დაუწყებენ ჟლეტას!

— მართალს ამბობს, მართალს! დასთანხმდნენ ყველანი.

— ხალხნო! მომწონს თქვენი თავგაწირულობა მამულისთვის, მაგრამ ყველაზედ უწინ დაფიქრება და გონივრება ეჭირება იმ ხალხს, ვინც უფროსებად იქნებიან ამორჩეულნი. დამიჯერეთ, მოდით ქალაქს გავგზავნოთ კაცები, შეიტყონ, გაიგონ, რაი ამბავი ხდება იქა ან სხვაგან საქართველოში და რაიც ამბავი მოვიტანონ ჩვენც იმის და გვარად დავიჭიროთ საქმეები.

ეს სიტყვები მოეწონა ყრილობის მომეტებულს წილს, მაგრამ გაფთხილებულმა აბდიამ წარმოსთქვა:

— ვოქებო, ეგრე არ იქნება!... სვიმონმა კარგა სთქვა ჩვენი კაცები გავგზავნოთ, დეე შეიტყონ ქართლის ამბავი, მაგრამ ჯარის გაშვება მაინც არ შეიძლება. ჯარი ვიმწყვდიოთ და სანამ კაცები სიტყვას არ მოგვიტანენ, მანამდინ ნურც გაუშვებთ და ნურც არას ვავნებთ, თუ საქმე არ გაგვიჭირდეს.

— აი, შენი კვნესამე, შენი, აბა ეგ არის სიტყვა აი! მოუწონეს ყველამ.

სვიმონიც დაუყაბულდა ამაზედ და ფიცი ჩამოართვა, რომ სანამ კაცები არ დაბრუნდებოდნენ პასუხით, მანამ მთიულები ხელს შეინახამდნენ და თუ ვინიცობაა ქართლი მართლა აჯანყებულა, მაშინ შეერთებულმა ხალხმა, ერთგულად გასწიოს უღელი, მაშინ სვიმონიც თავის მხრით მიდგომის, თავ-გადადების პირობას აძლევდა.

ამ საღამოზედვე რამდენიმე მარჯვე ბიჭი ამოირჩიეს, დაატიცეს და საჩქაროდ გაგზავნეს ქართლში ამბის შესატყობად.

ყრილობა დაიშალა. ლაშქრის მოთავეები, თავ-თავიანთ ბანაკზედ წავიდნენ, სვიმონი-კი ჟეეშეს დაბრუნდა, სადაც რუსის ჯარი უნდა მიელო.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

რიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შ ა ბ ა თ ს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

თფილისის საამხნაურო სკოლაში საჭირონი არიან ორი განათლებული აღმზრდელი ქალი მსურველს შეუძლიან თხოვნის შეტანა მოხსენებულ სკოლაში, რომელიც იმყოფება სოლოლაკზედ. (მველი ინსტიტუტის ქუჩა № 19).

## აბონემენტი
### ქართული თეატრისა

იმართება მარტო ექვსი წარმოდგენისათვის პირველ იანვრამდის 1882 წ.

ფასი დაკლებულია:

| | | |
|---|---|---|
| ლიტ. და შუა ლოჟ. | 54 მ. | —60 მ. |
| ლოჟ. № 1,2,19,20 | 30 მ. | —42 მ. |
| დანარჩენი ლოჟები | 36 მ. | —48 მ. |
| კრესლო 1 რიგისა | 15 მ. | —18 მ. |
| კრეს. 2 და 3 რიგისა | 10 50 მ. კ. | —12 მ. |
| სკამი მესამე რიგ. | 4 50 | — 6 მ. |

აბონემენტზე ხელის მოწერა შეიძლება 4 ნოემბრამდის.

ქართული თეატრის გამგენი { გ. აბაშიძე, კ. მესხი.

მიაქციეთ ყურადღება! საკუთარ თევზეულის მაღაზიაში, თამამშოვის ქარვასლის ქვეშ, ერევნის მეიდანზედ. ყოველთვის ვიღებთ ჩვენგან იჯარით აღებულის სალიანის წყლებიდამ ახალ-ახალ ქიტკას, ხიზილალას. დოშს და ზურგიელს. ისყიდება პარტიათ და წვრილათაც. აქვე ისყიდება მოხარშული დოშეული, (5—4)

### ორი ყმაწვილი კაცი

ამზადებენ ბავშვებს გიმნაზიის პირველ ოთხი კლასებისთვის. ადრესის დატოვება შეიძლება „დროების“ რედაქციაში. (4—2)

### ორი ყმაწვილი კაცი

ეძებენ გაკვეთილებს, თავიანთ ხარჯზედაც აიყვანენ ყმაწვილებს. ადრესის დატოვება შეიძლება „დროების“ რედაქციაში. (4—3)

თექვსმეტ ოქტომბრიდამ ჩემს ხელში გადმოვიდა ცენტრალური

## სასტუმრო,

რომელიც არის მიხაილოვის ხიდის ყურში, გარანცოვის მეგლის პირ-და პირ, ლიხათინსკისა და ნარიმანოვის სახლებში. სასტუმრო არის ჩინებულად მორთული, აქვს საკმაო რიცხვი ნომრებისა ფასად მანეთიდამ 5 მანეთამდე. ბუფეტისა და მოსამსახურისა ყველანი კმაყოფილნი იქმნებიან. სრული იმედი მაქვს, რომ თბილისის პატივცემული საზოგადოება საჭიროებისამებრ მომართავს ჩემ სასტუმროს, რომელიც მის და სასიამოვნოდ ყველაფერით შემიმკია და უსათუოდ მისს ყურადღებას დაიმსახურებს

სადილი და ვახშამი მსურველთ შეუძლიან მიირთვან გარიგებისამებრ ყოველ-დღეობით ან თვეობით მრიელ ხელ-მისაცემ ფასად.

სასტუმროს გამგე
(15—8) ლევან ოლახერაშვილი.

## ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფილდოსი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინის და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად.

ინგლისის მაღაზიაში.
(40—2)

**ОКОНЧИВШІЙ** курсъ въ **ВЫСШЕМЪ** учебномъ заведеніи, **ОПЫТНЫЙ** въ преподаваніи, предлагаетъ услуги въ качествѣ учителя, воспитателя и репетитора въ казенныхъ и частныхъ, мужск. и женск. учебн. заведеніяхъ. Письменно: Сололаки, Вознес. ул., домъ Попова № 30, Ник. Гавр. Дмитріеву. (3—2)

## ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფილდოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.
(100—33)

ი. მურადოვის
### წიგნის მაღაზიაში
## ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა.
(50—13)

### ინგლისის მაღაზიაში
არწრუნის გალლერეიაში
(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — | 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — | 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — | 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — | 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — | 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო | 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—54)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება:** პაპიროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—32)

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, გრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუმბივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯაგანის გიარები. (100—42)

ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ.
(100—79)

### ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის „ | —1 გირ. | $3^1/_2$ |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | $4^1/_2$ |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ | $5^1/_2$ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 14 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 12 კ. |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Ноября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჯაჯანაშვილი და ს. მესხი